ხელშეკრულება №

საჩხერე „15“ აპრილი 2012 წ.

ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი (ს/კ 439392863) მისი დირექტორის დავით ზაბახიძის სახით შემდგომში „შემკვეთად“ წოდებული, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ფენიქსი“ ს/კ 239403196 მისი დირექტორის ქამუშაძე თამარი შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებულმა, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრებაში ამ ხელშეკრულების 3.1.2-ში მითითებული საქონელი ან გაუწიოს მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ეს მომსახურება.

1.2. მიწოდების ან მომსახურეობის საგანია *სამედიცინო მედიკამენტებისა და საქონლის* მიწოდება;

1.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა *19 აპრილი 2012* წ.-დან *31 დეკემბერი 2012* წ.-მდე.

1.4. საქონლის ან მომსახურეობის მიწოდება ხდება ცალკეული პარტიებით შემკვეთის მოთხოვნის შესაბამისად .

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოს ან მიწოდებული პროდუქციის მაღალი ხარისხი.

2.1.2. დათქმულ ვადებში მოახდინოს საქონლის მიწოდება ან შესაბამისი მომსახურეობის გაწევა.

2.1.3. შემკვეთის მოთხოვნით უსასყიდლოდ 7(შვიდი) დღის ვადაში გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი, თუ მომსახურების გაწევის პროცესში შემსრულებელმა დაუშვა ხელშეკრულების პირობებიდან გადახვევა, რამაც გამოიწვია სამუშაოს ხარისხის დაქვეითება.

2.2. დამკვეთი ვალდებულია:

2.2.1. გადაიხადოს მიწოდებული პროდუქციის ან შესრულებული სამუშაოს საფასური 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერის მომენტიდან.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. ამ ხელშეკრულების ფასი შეადგენს:

3.1.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიწოდებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურეობის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 300(სამასი) ლარს.

3.1.2 გადასახდელი თანხის ოდენობა განისაზღვროს მიწოდებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.2. შემკვეთის მიერ შემსრულებლისთვის ხელშეკრულების ფასის გადაცემა ხდება როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარისწორებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომსახურების შესრულების ვადის დარღვევისთვის, რომელიც მითითებულია ამ ხელშეკრულების პ.1.4-ში, შემსრულებელი უხდის შემკვეთს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების თანხის 0,1 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.2. მხარეთა პასუხისმგებლობის სხვა ზომები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან ან დარღვევათა გამოსწორებისგან.

5. დავათა გადაჭრის წესი

5.1. დავები და უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულებისას, გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ვადამდე შემდეგი პირობების მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.

6.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა სათანადო რწმუნებულების მქონე წარმომადგენელთა მიერ.

6.3. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

6.4. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ ერთნაირი იურიდიული ძალა. ყოველ მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

7. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემკვეთი	*შემსრულებელი*
ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზი	[illegible] N
ს/კ 439392863 , საჩხერე თამარ მეფის ქ#4	[illegible]
საბ.რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკი	[illegible]
ბანკის კოდი: LBRTGE22 GE15LB0145172350377000	ანგ. N 36020025
დირექტორი: /დ.ზაბახიძე/	